№ 186. 21 სეკტემბერი, ოთხშაბათი. 1866—1883 21 სეკტემბერი, ოთხშაბათი. № 186.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლეში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дрозба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. } სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. } ერთის თვისა. . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება ორენებულ ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ. ბიბლიოთეკა
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს მგზავრს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ბიბლიოთეკა

მაქვს პატივი გამოუცხადო პატივცემულს ქართველთ საზოგადოებას, რომ მისს მაღალ ყოველად-უსამღვდელოესობა საქართველოს მეზარბაზი პავლე აკურთხებს ქალაქს ბორჩალოში ახლად-აშენებულს ღვთის-მშობლის ოქონის ეკლესიასა 25 სექტემბერსა ამა 1883 წელსა.
ბლაგოჩინი მღვდელი მიხეილ ნასყიდოვი.
(6—5)

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

19 სექტემბერს.

პეტერბურგი. შემოდგომაზედ საველმწიფო რჩევაში შეტანილ იქმნება რაოდენიმე პროექტი შესახებ კავკასიის სამკურნალო ინსტიტუტის განცალკევებისა.

პარიჟი. ოფიციოზური გაზეთი «ტამ» სწერს იმ შეერაცხყოფის გამო, რომელიც ესპანიის მეფეს მიაყენეს, და ამბობს, რომ ეს სკანდალი იმ ვაქბატონებმა მოახდინეს, რომელნიც ტალახში სვრიდენ ტიერს და გამბეტას და რომელნიც არაფერად აგდებენ საფრანგეთის ინტერესებს და სხვა ხალხების პატიოსნებას; ამასთანავე გაზეთი აცხადებს იმედს, რომ ესპანია მთელი საფრანგეთის ხალხის გრძნობას და რამდენიმე დამთხვეულის ქცევას განარჩევს ერთი-ერთმანეთისაგან; თვით ესპანიის მეფე დარწმუნებულია, რომ ეს დემონსტრაცია მოახდინა რაოდენიმე გაბრიყვებულმა პირმა.

გუშინ პოლიციის პრეფექტურის შენობაში იფეთქა გაზმა; შენობის ნაწილი დაზიანდა; რამდენიმე კაცი დაიჭრა.

აქ ცნობა მიიღეს, რომ ტონკინში კიდევ დაწყებულა უწესოებანი.

კეშტი. ხორვატიის მინისტრმა ბედეკოვიჩმა სამსახურს თავი დაანება.

ზაგრები. 38 დამნაშავეთაგან, რომელთაც ბრალდება სახელმწიფო ზედ-წარწერების ჩამოგლეჯა, 29 ს ერთი კვირიდგან ექვს თვემდინ საპურობილეში დამწყვდევა გადაუწყვიტეს და დანარჩენი

«დროების» ფელეტონი, 21 სექტ.

ებრაელების საქმე ჩვენში.

ჩვენ ვანებებთ თავს ისტორიულს ცნობებს იმაზე, თუ როდის და რა მიზეზის წყალობით გადმოეხიზნენ ებრაელები საქართველოში; მოგახსენებთ მხოლოდ, რომ მათი გადმოსახლება პალესტინიდამ კავკასიაში დაიწყო ძალიან ძველის დროიდამ, ქრისტეს დაბადების წინად. ათას გვარის გასაჭირის და უბედობის დროს თავის საკუთარ სამშობლოში აქ, საქართველოში, ეძებდენ ისინი თავშესაფარს და ახალს სამშობლოს. ყველამ, ვინც ცოტად მაინც იცნობს ისტორიას, იცის, თუ რა შავ დღეს აყენებდა საწყალ ებრაელებს გაკერპებული და უმეცარ სამღვდელოებისაგან წაქეზებული ხალხი ყველგან ევროპაში საშუალ-საუკუნოების დროს. რას არ სწამებდენ, რა გვარად არ სტანჯავდენ ამ ებრაელის უბედურ შვილებს, ვითომც მათ მამა-პაპის რაღაც ცოდვისათვის! ბანელენ საუკუნენი, იცვალნენ დრონი: დარბილდა ზნე, იკლო სიკერპემ. ნელად განიფანტა უმეცრების ბურუსი, და უფრო-და-უფრო იმატა ძმობისა და ერთობის ქადაგებამ და საქმემ. იმ ბნელის წყვდიადის საუკუნოებში, როცა მაგალითად, ათასობით სწვავდენ ცეცხლზე დედა-კაცებს, იმიტომ რომ აბრალებდენ კუდიანობას, როკაპთან მრუშებას, ქათამიკით კვერცხის დებას და სხვა ამ გვარს უმეცარის ტვინისაგან შეთხზულ სიბილწეს... მაშინ, რა გასაკვირი უნდა იყოს, თუ სძულდათ ებრაელები და ისე ექცეოდენ, როგორც შეეფერება გულ-გაქვავებულ მხეცს! ბასაოცარი ის იქნებოდა, რომ კაცურად მოპყრობოდენ. მაშინდელი სენის ფესვმა ჩვენს დროამდის მოატანა და ჯერაც არ ამოვარდნილა ძირიანად, რაიც მტკიცდება სამხრეთ-რუსეთში ამ უკანასკნელ ხანს ებრაელების წინააღმდეგ მომხდარის მოძრაობით. ბაზეთებიდამ დაწვრილებით გეცოდინებათ, რა ხასიათი და თვისება ჰქონდა ამ ცემა-მუსვრას. ბერმანიაცა და ავსტრიაც თითქო აჰყვა რუსეთს და ასტეხა განათლებული ხალხის არა-მესაფერი, ანტი-სემიტური მოძრაობა. ყველას გეცოდინებათ ტისა-ესლარის საძაგელი საქმე და უგვანი დაწამება. აქ შუა-საუკუნოებისაგან დანატოვარს უმეცრებასა და სარწმუნოებრივ სიკერპეს გარდა მოქმედობს აგრეთვე ეკონომიური და საზოგადოებრივი მიზეზი. რუსეთში, მაგალითად, ებრაელები არ არიან გათანასწორებულნი კანონის წინაშე დანარჩენ ქვეშევრდომებთან და მოკლებულნი არიან ბევრს უპირატესობას. ებრაელი იჩაგრება და კანონი მას არ ესარჩლება, რაც უნდა დიდის ნიჭისა და მშვენიერის ხასიათის პატრონი იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელად დაბადებულა ქვეყანაზე. სანამდის ამ გვარი გარჩევა კანონიერად იქნება ცნობილი, მანამდის ყოველ წამს მოსალოდნელია იმ გვარი სიმხეცე, როგორიც ჩაიდინა სამხრეთ-რუსეთმა. ეს გახლავთ საზოგადოებრივი მიზეზი. რაც შეეხება ეკონომიურს, არც აქ არიან ებრაელები დამნაშავენი, რადგანაც მარტო მათ ხელთ არ არის მათი მოსპობა და თითონ ებრაელები არიან მხოლოდ მათგან უძლეველის ეკონომიურის ძალის ბრმა და უნებური იარაღი. ჩვენი დროა კაპიტალისტურის წარმოების დროა: ეხლა ის კი არა სარგებლობს ნაშრომით, ვინც შრომობს, სარგებლობს ის, ვინც არა შრომობს, მაგრამ აქვს ფულად ქცეული სხვის შრომა, ანუ კაპიტალი. ამ წეს-წყობილებას, ამ ახლანდელ ეკონომიური საქმის ბრუნვას ებრძვის პირ-მიუფერებელი მეცნიერება და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ბევრით ვერაფრით მოუტრიალებია წალმა. სხვა-და-სხვა მიზეზების მეოხებით ჩვენში დიდი კაპიტალი ჯერ არ გაჩენილა, ე. ი. სხვის ოფლით გვერდზე წოლისა და ქეიფის-მოყვარე თუ ბევრია ჩვენში, ფულად ნაქცევი სხვის ოფლი აკლიათ ჯერ და მადაც ვერ გახსნიათ იმდენად, რამდენათაც, მაგალითად, ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებსა აქვსთ მადა გახსნილი. ჩვენში ჯერ-ჯერობით მხოლოდ გაიძვერა ვაჭრები, ჩარჩები და მოვაჭრენი გამოჩეკილან. მათი კაპიტალიც, მადაც და ასპარეზიც ჯერ, რასაკვირველია, ვიწროა და სიზმარში თუ ელანდებათ ხან-და-ხან,—როცა ფიცხი ფანტაზია ნამეტნავად აუთამაშდებათ,—ინგლისის მსუქანი მილიონები. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ახლანდელი წყობილება ისეთია, რომ მისი შეცვლა ჯერ-ჯერობით არც ებრაელებისა და არც ჩვენს ხელთ არის და რომ ჩვენში ამ წყობილებას ადგილის შესაფერად თავის ფერი ადევს, ე. ი. ჯერ ჩარჩობას და წვრილ მევახშეობას თითქმის ვერ გადასცილებია. სხვა-და-სხვა მიზეზის წყალობითვე, რომელთა ჩამოთვლა საკვლევისოდ გადაგვიდვია, რადგან აქ მათი დასახელება შორს გაგვიტაცებსა,—ჩვენში იმ პაწაწინა კაპიტალის წარმომადგენლობას, რომელიც კი მოიპოვება, და განსაკუთრებით მის ისეთს წვრილმანს და საზიზღარს ფორმებში, როგორიც არის მეჩარჩოობა და მევახშეობა.—ურიები ეწყობიან და კიდეც ითვისებენ იმ ზნესა და ხასიათს, რომელიც ასე სამძიმოა ხალხისათვის და რომელიც აუცილებლად თან მოსდევს ამ გვარ ხელობას. მაჭრობა კეთილგანწყობილ საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, თუ კი ის ეზიდება საჭირო საქონელს იქიდამ, სადაც საქონელი ბლომად არის, იქ, საცა მის საჭიროებას გრძნობენ, და იღებს ამისთვის შრომის შესაფერს ფასს. მაგრამ ჩვენს დროში

ბიბლიოთეკა

შინაური ქრონიკა

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ვედენსკის ბაღიდამ ფილოქსერა სოფ. აბჟაყეავშიაც გადასულა. ეს სოფელი ოთხი-ხუთი ვერსით არის მოშორებული ვედენსკის ბაღს. ამ ჟამად, როგორც ვედენსკის ბაღში, ისე ს. აბჟაყეავში ფილოქსერის ამოსაწყვეტად მუშები გაცხარებული ებრძვიან ამ ვენახის მტერს და თუ ასე გულმოდგინედ იმუშავეს, იმედია, მომავალ წელში მაინც მოსპონ.

ბათომიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ ტამოჟნის ჩინოვნიკებისაგან ისევ ისე ძლიერს შეწუხებაში არიან მგზავრები. ამას წინად ჭუთაისიდამ სოხუმში მიმავალ ქალს სამი წლის მეკერილი კაბა წაართვეს, იმიტომ რომ კაბის ქობას ტალახი არ ეცხო. მეორე მგზავრს სამოვარი წაართვეს და ამ ამბის მომწერს თურმე იმერეთიდამ თავისთვის ყურძენი მიჰქონდა ოჯახში და ერთის მოხელეს ეკითხა: იმერეთიდამ ყურძენი მომაქვს და შეიძლება, თუ არა იმისი გატანა უბაჟოდ ბათომიდამო. მოხელეს უარი ეთქვა და დამუქრებოდა კიდეც, პასუხის-გებაში მიეცემი, რომ სამზღვარს გარეთ ყურძენი გაგაქვსო. მაგრამ მეორე მოხელე უფრო მიხვედრილი გამომდგარა და ნება მიეცა.

ბაზ. «ძასპი» გვატყობინებს, რომ ამ ჟამად ბაქოში მოუყრიათ თავი იმისთანა პირებს, რომელთაც კეროსინის წარმოების გაუმჯობესობა სწადიათ. სხვათა შორის, ბბ. პოლეტიკოსს, რომელსაც უნდა თურმე, რომ რუსეთში კეროსინზედ წესიერი ფასი დაიწესოს, და ხანიკოესა და ტვედლის, რომელნიც ბაქოდამ ბათუმამდე ნავთის გასაყვან მილის გაკეთებას აპირებენ.

«თერგში» სწერენ: მთის ხალხი სულ ჯარის გამოყვანის თაობაზედ ლაპარაკობს. 22-ს აგვისტოს სხვა-დასხვა ჩეჩნის აულებიდამ გროზნაში მოვიდენ ოთხასნი წარმომადგენელნი ამ ხალხისა და თავიანთ შორის ორატორი ამოირჩიეს. ორატორმა, ჭალარა-თმიანმა მოხუცმა, აუხსნა ოლქის

უფროსს ხალხის სურვილი. ვიდრე ორატორს თავიანთ სურვილის გამოცხადებას მიანდობდენ, წარმომადგენელთა კრება ორის-სამის საათის განმაელობაში გაცხარებული სჯიდა იმ საქმეს და არც ერთი უწესობა არ მომხდარა. ორატორის სიტყვის შემდეგ, ოლქის უფროსმა აუხსნა ხალხს, რომ თქვენში ჯარის გაყვანა ათი წელიწადია, რაც გადაწყვეტილია და მხოლოდ განსხვავებულის მიზეზების გამო აქამდის გადიდვაო. ამას იქით მთელს მერგის ოლქში აქაურს ხალხისაგან შესდგება ერთი ცხენოსანი პოლკი, რომელშიაც ოთხი «სოტნა» იქნება. საომარ ვარჯიშობაში მხოლოდ ერთი «სოტნა» იქნება, დანარჩენი სამი მილიციის სამსახურს შეასრულებენ ეხლანდელსავით; პოლკი „მთავრობის ხარჯზედ იქნება და ვადა სამსახურისა—სამი წელიწადი. ამის გარდა ოლქის უფროსმა უთხრა მათ,—მე ვიშუამდგომლებ, რომ მერგის მაზრაში ჯარის გაყვანა ერთის წლით უფრო გვიან მოხდეს, ვიდრე ქავკასიის იქითა მხარეს. ჩეჩნების ორატორს მადლობა ეთქვა ოლქის უფროსისათვის და გამოეცხადებინა, რომ გაჭირებისა და ომის დროს ყოველთვის მზა ვიყავით ხელმწიფის სამსახურისათვისა და ეხლაც გთხოვთ, რომ ნება მოგვცეთ ხელმწიფე-იმპერატორს წარუდგინოთ ერთი სათხოვარი, რომლის გამოცხადების ნება არა მაქვსო. ოლქის უფროსს ერჩია, რომ ამ საქმის თაობაზედ არზა თ. დონდუკოვ-ორსაკოვს მიართვითო.

〰 მზათა მინისტრი პოსიეტი ქავკასიაში იმიტომ მოდის თურმე, რომ ადგილობრივ გასინჯოს, სად უფრო სასარგებლო იქნება ახალის რკინის გზების გაყვანა. მინისტრი ერევანშიც წავა.

〰 ამ დღეებში გამოვიდა წიგნი მ. ქირშისა: «ყველის გაკეთების საქმე ყაზახებში და ჩრდილოეთ-კავკასიის მთის ხალხში. ამ წიგნიდამა სჩანს, რომ ქირშის მეოხებით შემდეგი წარმატება დასტყობია ამ საქმეს ქავკასიაში, სადაც ბევრი იმისთანა ალაგებია, რომელიც ამ მხრივ შეეიცარიას არ ჩამოუვარდებიან: ხალხი ერთგულად ეკიდება უცხო-ქვეყნურად ყველის კეთებას და ცუდის თვალით აღარ უცქერის ამ ახალ საქმეს; შეეიცარიულად ყველის კეთება ადგილობრივ პირობებს შესთანხმებია და ყველი ჩინებული კეთდება და ბაზარიც კარგი აქვს.

ქარგი იქნებოდა, რომ ჩვენს მხარეშიაც ყველის კეთებას ესეთი შედეგი ჰქონოდა და-სხვა-და-სხვა პირებს არ დაესაკუთრებინათ ეს სასარგებლო საქმე.

«დროების» კორესპონდენცია.

—

ტყვიავი, 12 სექტემბერს. ორშაბათს, ამ თვის 12-ს, მომიხდა ს. ტყვიავში ყოფნა. მე ვიყავ სადილად ბ. ილია რამანის-ძე ფავლენიშვილთან, სადაც, სხვათა შორის, იყო სურამის ბოლიციის პრისტავი, ბ. დ. დეკანოზოვი. ჯერ სადილი არ გაშლილიყო, რომ კარს მოგვადგნენ ორი ცხენოსანი კაკარდიანი ქუდებით და სოფლის სუდია-მამასახლისი გაშვერილი ჯოხებით. კაკარდოსნებმა მიაბეს ცხენები ნიკო ფავლენიშვილის კარებთან. «შენ ქვაბი გქონია, არაყსა ჭსდი და უნდა აქტი შეგიდგინოთო». ჭმ! ეს აქტიზის ჩინოვნიკები თუ არიან მეთქი. რომ დავინახე, იმათგენ წამოგელერთს მათგანს შეკეკითხე: რისთვის კარჯილსარო-მეთქი?—«ეგ თქვენი საქმე არ არის, გთხოვთ მიბძანდეთ»,—ისეთ წყრომის კილოზე მითხრა ეს სიტყვები, ისეთმა ფერ-წასულმა, ისეთის ათრთოლებულის ხმით, რომ მე, სწორე მოგახსენო, შეკრთი, აქეთ-იქით მივიხედე და გავუბედე მრისხანე კაკარდოსანს: «უმარწვიდო, რას ჯავრობთ, მე კატურად გელაპარაკებით და საწყენოდ რად გრჩებათ»?—ბოლოს შეკითხე, რომ—ცოტა არ იყო—ღვინის ბრალი ჩაეფლაპათ.

ერთი ამ კაკარდოსანთაგანი გახლდათ ბ. გ.... და მეორე რუსი ჩერქეზულ ჩოხაში. როცა ამათთანა ჩინოვნიკებსა აქეთ საქმე საწყალ, უნო სალხთან, მაშინ ესენი უშტიალებენ, მკაცრად ეპურობიან, რომ დავთარი დაუკარგონ. სწორედ ასე მოექცნენ სატოდაგს ნ. ფავლენიშვილს. ეველა ამ მოგზაურ-ჩინოვნიკ-ტუდი შთაბეჭდილება მოხდა სურამის მოხელეების ქცევამ. ფავლენიშვილი ეუბნება: «მართალია, მე ქვაბი ვიყიდე ოთხ თუმნად ს. ფლავში, მაგრამ არ წამომიღია,—იქვე დავუტოვე ერთს გლეხსაო—ეს ორი წელიწადია მასუკანა... მე ეხლა, შენი ჭირიმე, არც ქვაბი მაქვს და არცა ვხდი; ამდენი ხანია, არაყის სუნიც კი არ ვიცი, როგორია.... აი გასინჯეთ და თუ აღმოჩნდეს რამე, თქვენი ნებაა, ჯარიმა დამადეთ».

ჩვენ, მაუურებლებმა, ვიფიქრეთ, რომ აქ რადაც ხრიკია, თორემ მანიფესტმა ხომ აპატიეს ეველას გაკეთილი შეცდომილება არაყის შესახებ და ეხლა ესენი რაღას სთხოვენ, რადესაც კაცს ქვაბი სელთ არა აქვს და არცა ჭსდის. მოხელემ აქტი გაათავა და მამასახლისს უთხრა, ბეჭედი დამიკარიო. მაშინ პრისტავმა დ—ემა უთხრა მამასახლისს: «მამასახლისო, შენი კაღია, ჯერ გაიგო, რა სწერია აქტში და მერე ისე დასვა ბეჭედი.

—ეს თქვენი საქმე არ არის,—შემოუტია პრისტავს მოაქტიზემ,—დასვი, მე გიბძანებ!

—თქვენ აქ ჩვენ წინააღმდეგ სალხს აღელვებთ (возмущаете народъ),—მოუბრუნდა ისევ პრისტავს.

—მე არ კაღელვებ; მე მხოლოდ კითხულობ მამასახლისს, რომ შეცდომაში არ შეიდეს, ამას ითხოვს ჩემი მოვალეობა, როგორც ბოლიციის პრისტავ-ვაჭრობის ამ დანიშნულებასაც ხელი შეშლილი აქვს თანამედროე წესწყობილებისაგან, და, როგორც ამტკიცებს გამოჩენილი მეცნიერი სპენსერი, პატიოსანი ვაჭრობა ყოველად შეუძლებელია: თუ არა გსურს გაკოტრება, ისე უნდა მოიქცე, როგორც ქვეყანა იქცევაო. თუკი საზოგადოდ ვაჭრობაზე ითქმის ამ გვარი აზრი, რაღა თქმა უნდა, რომ იმ გვარ ვაჭრობაზე, როგორიც არის მებაყლობა და მეჩარჩობა, მეტის სიმართლით უნდა ითქვას. ისტორიული ვითარების წყალობით ჩვენში სხვა ხალხზე უფრო ურიები ვაჭრობას უნდა მოჰკიდებოდენ.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, რომელნიც საქართველოს წარსულ ისტორიაში მხოლოდ ნათელ-მოსილ ვაჟკაცობას და ყოველ გვარ სიკეთეს ჰპოებენ. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენშიაც ის იყო, რაც ყველგან, ზოგი უკეთესი, ბევრი უარესიც. ჩვენი ავიცა და კარგიც აიხსნება ჩვენის ქვეყნის ფიზიკურ-ეტნოგრაფიულის მდებარეობით და იმ გარემოებით, რომ საქართველოს ხალხი მეომარი და მტერზე მუდამ ხმალ-ამოწვდილი ხალხი იყო. თუ გვჭირდა რამ კარგი, ის სულაც არ შეადგენს მარტო ჩვენს განსაკუთრებულს თვისებას, არამედ სჭვრეტია ყველა ხალხს, თუ კი ისიც ჩვენსავით მეომარი უნდა ყოფილიყო აუცილებელ გარემოების ძალით.—ამიტომ დაჩაგრაში არც ჩვენ დაგვიკლია ხელი ებრაელებისათვის და არასოდეს არ ვყოფილვართ მაინცა-დამაინც ნამეტანი სჯულ-მომთმენი. სარწმუნოებას ყოველთვის ერთობ დიდი ადგილი ეჭირა ჩვენს საზოგადოებრივს და ისტორიულს ცხოვრებაში, და არა გვგონია, რომ ვიზედმე ნაკლებ სჯულ-კერპი ვყოფილვიყოთ ან ურიების შესახებ სხვებზე უფრო სამართლიანი *). ჩემს აზრს ამტკიცებს აი თუნდ სარა მოდებაძის საქმეც. ახლა ჩვენებურ ებრაელებზედაც რუსეთის საზოგადო კანონი მოქმედობს და ჩვენი არაფერი ბრალია: კიდეც რომ გვინდოდეს ძველი ისტორიული ცოდვის გაქარწყლება, უფლებით გათანასწორება და დაძმობილება, ამის განხორციელება ჩვენზე როდია დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ გულითადის თანაგრძნობისა და სურვილის გამოცხადება, რომ მალე შეცვლილიყოს ებრაელების აწინდელი განსხვავებული და დაჩაგრული მდგომარეობა, მალე გათანასწორებულ იქმნენ უფლებით და კანონით სახელმწიფოს დანარჩენ მცხოვრებლებთან. რაც იყო, რაღა სახსენებელია! საქართველომ, რაც უნდა იყოს, შეიფარა და იშვილა ურიები. მათ იპოვეს აქ ახალი სამშობლო, დასახლ-კარდენ, სცხოვრებენ აგერ რამდენიმე საუკუნეა, შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, ბევრი ზნე და ჩვეულება, ერთის სიტყვით გაქართველდენ და წმინდად შეინახეს მხოლოდ თავის სარწმუნოება. ჩვენს დროში სარწმუნოება სინიდისის საქმედ მიაჩნიათ. სხვის სინიდისის სამღვთო საგანთან არავის ხელი არა აქვს. კაცი იწონება მხოლოდ საქმით, მისის კაცურის კაცობით, იმით, თუ როგორი მოქალაქეა, რის მომქმედი საზოგადო საქმეში და საზოგადოდ როგორი მამულის შვილი. ჩვენ ზემოდ მოგახსენებთ, თუ რა-და-რა მიზეზებია, რომ ებრაელებს ვერაფერი მოწყალე თვალით უცქერით. როცა სრულიად მოისპობიან მიზეზები, გაჰქრება თავისით ცუდი შეხედულობაც: უფრო გაგეიადვილდება დაძმობილება და ერთობა. ჩვენ ვერაფრად მოგვწონს ებრაელის ახლანდელი ხელობა და იმას როდი ვაქცევთ ყურადღებას, აქვს თუ არა ამას გარდა სხვა რაიმე ცხოვრების სახსარი. მიწა იმუშაოსო, მეტყვით. მიწის მუშაობა, რა თქმა უნდა, პატიოსანი ხელობაა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ ისტორიულ ძალას, და ან რათ გინდათ მიაჭედოთ კაცი მიწას, თუ მასაც თქვენსავით მრავალგვარი ნიჭი აქვს ბუნებისაგან ნაბოძები! შეხსენით ხელი და მერე სთქვით, ჩვენზე უარესია.

ახლანდელი ქართველი ახალგაზდობა და მწერლობა ყოველთვის ესარჩლებოდა ებრაელებს, არღვევდა მათ შესახებ გავრცელებულს მრავალგვარ ცრუ-მორწმუნოებას და ჭორს ერთი კრინტიც არ დაუძრავს ჩვენებურ ებრაელების წინააღმდეგ. თუ ცუდად ახსენებს ხან-და-ხან მათს ვერცხლის-მოყვარეობას და ჩარჩულ ზნეს, აქ ებრაელობა არაფერ შუაშია: მოვახშე და ჩარჩი ვერაფერი საყვარელი სულდგმულია, ურია იყოს, თუ გინდ ქრისტიანი. ზიზღს შეიქს მოქმედება და არა გვარი და სარწმუნოება. ქართველ დაწინაურებულ საზოგადოებას სურს და ყოველთვის ესურვება, რომ ებრაელსაც, ვითარცა კაცს, მიენიჭოს სრული საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი უფლება. ის ყოვლის ღონის-ძიებით, რომელიც კი მის ხელთ არის, ცდილა და ეხლაც ეცდება თავის წადილის განხორციელებას.

აქამდის ვამბობდით იმისთანა საზოგადო დაბრკოლებაზე, რომელიც უშლის ებრაელს მის აწინდელი მდგომარეობის გაუმჯობესობას. ახლა კი ზოგი ისეთი დაბრკოლებაც უნდა დავასახელოთ, რომელშიაც თითონ არის გასამტყუნარი და საყვედურის ღირსი. იმ ქვეყნებში, საცა, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში, ებრაელს სრული სახელმწიფოებრივი უფლება აქვს მინიჭებული, მას შეუთვისებია ამ ქვეყნის ზნე, ჩვეულება, ენა მიაჩნია თავის სამშობლოდ, ლხინობს მისის ლხინით და ჰგლოვს მის უბედურებას, როგორც ყველა მამულის შვილი. საფრანგეთში ებრაელი ფრანცუზია, პორტუგალიაში პორტუგალიელი, ინგლისში იგლისელი და ამერიკაში ამერიკელი. იქაური ებრაელი როდი გამომწყვდეუ-

*) ამაში არ ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, ისტორიული ფაქტია, რომ ჩვენში ებრაელთ იმის მეათედი ტანჯვა არ მიუღიათ, რაც თვით ევროპაში მიიღეს. რასაკვირველია, ამას თავის მიზეზები აქვს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. რედ.

ვისა და მე არ მესმის, თქვენ რად ცხარობთ,— უთხრა მშვიდობიანად ბრისტავმა.—მამასახლისმა გამოართვა აქტი და ამოგვიტანა ბალკონზე, სადაც ვიუკვით მე, ბრისტავი, ორი ძმანი ა. და კ. ფავლუნიშვილები და სტუმარი ქალები, რომელთაც არ ვასახელებ, თუმცა კი ამათაც ნახეს ეს სცენა. აქტი წავიკითხეთ და რაც უთხრა ნ. ფ—მა, ის არ ეწერა შიგ, ორი წელიწადიც არ იყო მოხსენებული. ავუხსენით ჩვენ, რომ ხელმწიფემ აპატიეს, ოღონდ ჯარმა ახსნა ამ ბირთ, რომელთაც ქვაბები ჭქონიათ და უხდიათ. ამას თუმცა ჭქონია, მაგრამ სახლშიაც არა ჭქონია, სხვა სოფელში დაუტოვებია; არ უხდია არც უწინ და არც ეხლა და რას ემართებით მაგ ღარიბ-ღატაკსაო. სად შეუძლიან მაგას ჯარიმის გადახდა, მერე ისიც ტუილა-უბრალოთაო. აქ მოიგონა კიბესთან მოაქციზე, შემოუტია ბრისტავს: თქვენ ვინა გეთხოვთ, დაიკარგენით (убирайтесь), მე ჩავალ გორში და გაჩვენებთ სეარს (я вамъ задамъ),—თითის ქნევით უთხრა ბრისტავს. ბრისტავმა უთხრა, რომ მე თვითონ ამადამ გორში ჩამოვალ და იქ დაგიმტკიცებთ, რომ უკანონოდ იქცევით და შეურაცხ-ყოფას აყენებთ სალხსო. მე, არა თუ როგორც ბოლიციის ბრისტავი, როგორც ქრისტიანი კაცი, მოვალე ვარ არ დავაჩაგვრინო მართალი სული, უნო და გაუნათლებელი სალხი,—უპატიოსნოდ უკლეფის ნება არავისა აქვს.

მამასახლისმა არ დაუბეჭდა; წამოვიდ-

რუსეთი

— რუსული გაზეთების სიტყვით, ყალბი ახალი ოც-და-ხუთ მანეთიანებიც გავრცელებულა ხალხში. ეს ყალბი ბილეთები თამასუქის ქაღალდის მზგავსს ქაღალდზედ იბეჭდება თურმე, როგორც ნამდვილი ოც-და-ხუთ მანეთიანები და სიყალბეს კაცი მხოლოდ მაშინ შეატყობს, თუ სინათლეზედ გაჰხედავს.

— ვარშაულის გაზეთის «პრავ-

ლა ჩვენებურ აბრაელსაევით ოთხ-კედელ-შუა, ერევა სოფლის საქმეში და იცის საზოგადო ინტერესის სამსახური. რუსეთში, სადაც ამფერი ცხოვრება ჯერ კიდევ სანატრელ საგანს შეადგენს, ებრაელები მაინც მიმხვდარან თავის გაძაღლებულ ყოფას, აპირობენ დაბრკოლების თავიდამ აცილებას და ყოველის ღონის-ძიებით ცდილობენ რუსეთშიაც ის ბედნიერი წყობილება დაამყარონ, როცა სარწმუნოებით არ გაარჩევენ ადამიანს, რადგან ყოველი სარწმუნოება და ყოველი გულ-წრფელი გრძნობა წმინდაა და პატივ-ცემული უნდა იქმნეს. რუსეთის საუკეთესო და შეგნებული ნაწილი თანაუგრძნობს და ეხმარება რუსის ებრაელებს წადილის აღსრულებაში. რუსეთში ყოველ საზოგადო მოძრაობაში და საქმეში ამ ბოლო დროს ურევია ებრაელი და არ არჩევს თავის თავს დანარჩენს რუსეთის ხალხში. ის აღიარებს რუსეთს თავის სამშობლოდ, გრძნობს მის ტკივილს, და ცდილობს განფანტოს სიბნელე, შეაგონოს, შესცვალოს ცუდი წესი და დააწესოს სამართლიანი წყობილება. რუსეთში ბლომად არის ამ ჟამად განათლებული ებრაელი, რომელიც თავის განათლებულის ძალითა და გონებით ეხმარება რუსეთის პროგრესის საქმეს და უმატებს გამარჯვების იმედს დანარჩენ მამულის შვილებს.— უნივერსიტეტი გატენილია ებრაელებით. ჟურნალ-გაზეთებსა და მწერლობაში ბევრი ებრაელი იღებს მხურვა-

ლე მონაწილეობას.—ჩვენებური ებრაელები კი გაქვავებულან მამა-პაპურ ყოფა-ცხოვრების კალაპოტში და აქამდის ვერ შეუგნიათ ახალი მეცნიერებისა და სწავლა-განათლების საჭიროება. მათ ეშინიანთ განათლებისა და არ აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაში, თუნდ შეძლებაც აძლევდეს ამის ნებას. ჩაუკეტიათ სახლის-კარები და არ ეკარებიან დანარჩენ ქვეყნიერობას. ასე ჰგონიათ, რომ განათლება,—მეტადრე გიმნაზია და უნივერსიტეტი,—გარყვნის მათ შვილებს, წაართმევს სარწმუნოებას და შეაძულებს ებრაელის სახელს. ის როდი იციან, რომ პირ-იქით, რაც უფრო მეტი განათლებული ებრაელი იქნება, მით უფრო მალე შეიცვლება მათი დაჩაგრული ბედი და უფრო მეტი გონების ძალით შეიარაღებული მოსარჩლე ეყოლებათ. რამდენი სწავლული და უმაღლესი განათლების პატრონი ებრაელია ახლა რუსეთში, მაგრამ არც იცვლის სარწმუნოებას და არც ეთაკილება, რადგან არაფერია სათაკილო. რაც უფრო მეტი განათლების პატრონია ადამიანი, უფრო მეტის სიფრთხილით და პატივით ექცევა სხვის სინიდისს და სარწმუნოებას, სხვის გულის ფეთქას და გრძნობას.—დროა, დიდი ხანია დროა, რომ ჩვენებური ქართველი ებრაელებიც დაუკვირდენ თავიანთ მდგომარეობას, შეიგონონ სწავლა-განათლების საჭიროება, იცნონ ახალი დრო და მიანებონ თავი თავის კარ-ჩაკეტილობას და იმ უსაფუძვლო შიშს, ვითომც

ნენ დიდგულა ბატონები წყრომით და ბუტბუტით. გორში სამშაბათს, 13-ს ამ თვეს, ბატ. გ... თავის ამხანაგით მიბძანებულა მაზრის უფროსთან სახიელულად დეკანოზოვზე. ამ დროს გაუჩნდება თვით დეკანოზოვიც, იდაჰარკებს თავის მხრივაც და საქმეს გადაცემინებს გამომძიებელზე.—რაცა ვსთქვი, აქ ნახეკვრიც არ არის იმისი, რაც იმათ საქმე ჩაიდინეს. ესე ჩაიდუღის წყალს ეძლევა ამათი მოქმედება. რომ იტუვიან: წყლის ჯოკა წყალზეკე გატუდებაო, სწორედ ისე მოუსდათ აქტიორის მოხელეებს. იმედია, რომ გამოძიება გამოაშკარავებს, დაამტკიცებს თვალსაჩინოდ ზემო აღწერილის სცენის სინამდვილეს. არც ძნელი იქმნება, რადგანაც დამსწრენი, ქალი თუ კაცი, ისეთები არიან, რომ ტუილს კერ კი მოახერხებენ.

ერთი დამსწრეთაგანი.

რუსეთი

— რუსული გაზეთების სიტყვით, ყალბი ახალი ოც-და-ხუთ მანეთიანებიც გავრცელებულა ხალხში. ეს ყალბი ბილეთები თამასუქის ქაღალდის მზგავსს ქაღალდზედ იბეჭდება თურმე, როგორც ნამდვილი ოც-და-ხუთ მანეთიანები და სიყალბეს კაცი მხოლოდ მაშინ შეატყობს, თუ სინათლეზედ გაჰხედავს.

— ვარშაულის გაზეთის «პრავ-და»-ს სიტყვით, ბერლინის პირკაზედ გავრცელებულა ხმები, რომ რუსეთი კიდევ აპირებს სესხის აღებასაო.

უცხოეთი

— ვენაში ამტკიცებენ, რომ რუსეთის და ავსტრიის მმართებლობას მეგობრული მოლაპარაკება ჰქონდათო შესახებ ბულგარიის საქმეებისა. ამისთვის ჰფიქრობენ ვენაში, რომ როგორც უნდა წავიდეს ბულგარიაში საქმეები, რუსეთსა და ავსტრიის შუა უთანხმოება არ მოხდებაო. სახეში აქვსთ საქმე ისე დააყენონ ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ, რომ არც ერთი სახელმწიფო არ ჩეერიოს ერთმანეთის პოლიტიკურ საქმეებშიო. ბერმანიასაცა აქვს მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაშიო.

— ბერლინის გაზეთებს ეხლა სალაპარაკოდ გახდომიათ ერთი შემთხვევა, რომელიც საფრანგეთის ჯარების მანევრების დროს მომხდარა, და ისეთივე ალიაქოთი შესდგომიათ, როგორიც ჰქონდათ მათ, ორის წლის წინად, სკობოლევის სიტყვის გამო. საქმე აი რაშია: მანევრების დროს ფრანცუზებმა გაუმართეს უცხოელ ოფიცრებს ბანკეტი, რომელზედაც გენერალმა ვოლფმა აღტაცებით წარმოსთქვა რუსეთის სადღეგრძელო. ბენერალ-ადიუტანტმა დრაგომიროვ-

---

თანამედროე ევროპიული განათლება სარწმუნოებას და მამა-პაპურ სიწმინდეს წაგვიბილწავსო... ცრუ შიშია და ცრუ დაობებული აზრები, ასე წარმოიდგინეთ, რომ თუ დროის შესაფერი სწავლა არ მიიღეთ არ აჰყეევით ახალ სიო-ნიავს, ვაჭრობაც, დიდი, რიგიანი ვაჭრობაც, ხელიდამ გაგისხლტებათ და შეგრჩებათ მხოლოდ ჩარჩობა და სწრილმანი გასესხებ-გამოსესხება, რადგანაც ახლანდელ დროში ვაჭრობაც სწავლას თხოულობს და კარგს სწავლასაც. ჩვენებურმა ქართველმა ებრაელებმა უნდა შეიცვალონ შეხედულობა, შეუერდენ დანარჩენ ქართველობას. ქართველობა აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით შეეგება ბათუმის მაზრის შემოერთებას, რადგან იქ დიდის ხნით დაკარგული ძმა-ქართველები სახლობენ. არა კაცს არ უთქვამს, ისინი ქართველები როდი არიანო, რადგან მაჰმადი სწამთო და არა ქრისტე. რასაკვირველია ისინი შთამომავლობითაც ქართველები არიან, მაგრამ როგორც ზემოდ ვსთქვით, ისე დიდი ხანია, რაც ებრაელები ჩვენში გადმოსახლდენ, რომ გაქართველდენ, და ბათუმელებმაც ხომ ბევრი ოსმალოს ზნე-ხასიათი და სისხლი შეირიეს, თუკი ვაკადრებთ ჩვენს განათლებულ საუკუნეს და «სისხლზე» მიდგა ლაპარაკი!

ამას წინად «დროებაში» დაბეჭდილი იყო ქუთაისიდამ ამბავი, რომ ქუთათურ ებრაელებს სომხის სკოლაში მიჰყავთო შვილები. ეს ამბავი

მა დალია საფრანგეთის სადღეგრძელო და შემდეგ ენერგიულად—და მკაფიედ წარმოსთქვა შემდეგი: «ბატონებო, ჩვენ დავლიეთ საფრანგეთის სადღეგრძელო და მე მსურს, რომ არავინ არავისი სადღეგრძელო არ დაილიოს, გარდა საფრანგეთისა, მე ესტეხავ ჩემს ბოკალს»,—სთქვა და დაახეთქა ბოკალი, რომელიც ლუკმა-ლუკმად იქცა. ამ სცენამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელს საზოგადოებაზედ და განსაკუთრებით საფრანგეთის ახალ-გაზდა ოფიცრებზედ.

— ელზას ლოტარინგიიდგან მოსული ამბებიდგან სჩანს, რომ იქ ძალიან სდევნიან თურმე ფრანცუზული ენის სწავლებას. გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ამაზე, რომ გეოგრაფიული მდებიარობის გამო ეს ენაც ისეთივე საჭირო ენა არის, როგორც ნემენცური, რომ ამ ენის გაუქმება არ შეიძლება, თუ არ ძალადობითა, რომ უწინ სასწავლებლებში ორივე ენას ასწავლიდენ და ერთი ერთმანერთის სწავლებას არ უშლიდენო. მაგრამ ეს ლაპარაკი ამოდ რჩება; ამ ენის სასწავლებლად კვირაში ოთხი საათიც კი ბევრად მიაჩნიად და ჰფიქრობენ ორ საათამდინ შეამციროონ და ამ გვარად შემუსრონ იგი.—«თუ დაწერილს ენას, ენას ერამატიკისას წაგვართმევენ—იწერებიან იქიდამ—ისე რომ ჩვენ წინა-

---

ერთის მხრით ძალიან სასიამოვნოდ დაგვირჩა, რადგან ეტყობა ქუთაისელი ებრაელები გამოფხიზლებულან, გაჰღვიძებიათ სწავლა-განათლების ხალისი, გონიერად უყურებენ ამ საქმეს და არ ეშინიანთ სხვა სარწმუნოების სკოლაში შვილების მიბარება. ჩვენ სიხარულით წავიკითხეთ ეს ამბავი და მოგვილოცნია ქუთაისელ ებრაელებისათვის ახალი კეთილი ნაბიჯი. მაგრამ, მართალი მოგახსენოთ—ერთი ახირებული გარემოება გვაკვირვებს: რომ ჩვენებურ ებრაელებს შეუტყვიათ სწავლის საჭიროება, მაგრამ უცოდინარობით ვერ გაურჩევიათ, როგორი უნდა იყოს სწავლა. მრჩეველი არავინა ჰყავთ და სომხების სკოლაც მათ უბანთან ახლოა და მარჯვე ალაგას არის. შეიძლება, სხვა მიზეზებიც იყვნენ.

ზემოდ ნათქვამი ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია და გვგონია, რომ აღარ არის საჭირო მეტი განმარტება და საუბარი. ჩვენ ვემდურით ჩვენებურ ურიებს იმისთვის, რომ ისინი გვერიდებიან ჩვენ, ერიდებიან სწავლას და აქამდის ვერ გაუხსნიათ საკუთარი სკოლა, საკა სწავლა გონიერად წარმართული ყოფილიყო ყველასათვის გასაგებს მშობლიურს ენაზე. ნუ თუ ქუთაისელი ურიები ისე ღარიბები არიან, რომ ვერ შეინახავენ ერთს რიგიანს საკუთარს სკოლას და ვერ უპოვიათ განათლებულ ქართველებში დამხმარე ადამიანი.

გრ. უმწიფარიძე.

მოსკოვი.

აღმდეგობის გაწევა ვერ შეეიძლოთ, მაშინ ჩვენ დავიცვავთ სალაპარაკო ენას, მის კილოს, მის კონსტრუქციას და სულს,—ეს ხომ ჩვენი საქმეა. ეს ძალიან მარტივი და ადვილი საშუალებაა მშობლებისთვის, რომელნიც ფრანცუზულს ენაზე ლაპარაკობენ».

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება «Первый Шагъ»—რუსული ენის სახელ-მძღვანელო ქართულ სკოლებში სახმარებლად, შედ. ადნიაშვილისაგან; ისყიდება ცენტრალურ წიგნის სავაჭროში, ფასი 40 კაპ. (6—1)

შესანიშნავი

ყველა ავადმყოფებისათვის

ნერვების ავადმყოფობა, ბნედა (ეპილესია) და საიდუმლო ავადმყოფობანი

სხვა-და-სხვა მიზეზით წარმომდგარნი, შეიძლება სრულიად და საჩქაროდ მორჩენილ იქმნან მარტო ჩემის მეთოდით.

საექიმო ფასი ავადმყოფებმა მხოლოდ მაშინ უნდა გადაიხადონ, როცა სრულებით მორჩებიან.

ადრესი

D-r Prof. A. Malaspina
106, Faubourg S-t Antoine, 106
Paris.

წერილები მიიღება ყოველს ენაზედ. (1—1)

ბუკიაში ისყიდება ორი სახლი ბანკის ვალით: ა) ნიკოლოზის (ნიკოლაევსკის) ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვითკირისა სარდაფით და ეზო 200 კვადრ. საჟ., და ბ) აგურის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი მეზონინით ქვითკირისა და ეზო 300 კვადრ. საჟ. გაყიდვის პირობების შეტყობა შეიძლება თბილისელს ნოტარიუს Ი. Ი. პოლტორაცკისთან. (3—3)

მასწავლებელი ქალი ქ. ქუთაისში იყვანს ვაჟებს მოსამზადებლად საშვალო სასწავლებლებში, როგორც დღე და ღამე, ეგრეთვე ცალკე გაკვეთილებით. ბინა აქვს საკნიაზო ქუჩაზე, საქალაქო გიმნაზიის პირ-და-პირ, Ი. მხეიძის სახლში. ფასი ზომიერია. (3—2)

500 კრავატი.

კრავატების ყიდვამდის სასარგებლოა და კეთილ-გონიერებაც მოითხოვს ინახოს რავოდენობა ინგლისის მაღაზიისა არცრუნის გალერეიაში №№ 156, 157, 158 და 160 და ამ ნომრებს ყურადღება მიექცეს. (10—10)

წიგნები

ისყიდება წიგნის მაღაზიაში—ტფილისში: გრიქუროვთან ბუკიის ხიდისყურზე, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ, ჭიჭინაძესთან ლორის-მელიქოვის ქუჩაში, მესხიევის სახლში, ფოსტის ახლოს.—ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

1) **ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები. ნაწილი პირველი.** ფასი ექვსი შაური.

2) **მეფე ლირი,** ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი **Ი**ვ. მაჩაბლისა და **Ი**ლ. ჭავჭავაძისაგან. ფასი სამი აბაზი.

3) **ანტონოვის თხზულებანი (კომედიები).** ფასი ერთი მანეთი.

4) **ქართული ანდაზები,** შეკრებილი ჰეტ. **Ш**ბიკაშვილისაგან. ფასი ორი შაური.

5) **კაცია-ადამიანი,** მოთხრობა Ილ. ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

6) **ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.** ფასი ერთი აბაზი.

7) **გრიგოლ ორბელიანის ლექსები.** ფასი ექვსი შაური.

8) **დედანი საწერი,** შედგენილი ჰეტ. **Ш**ბიკაშვილისაგან. ფასი სამი კაპეიკი.

9) **დავითიანი**, ლექსები **Д**ავით **Б**ურამიშვილისა. ფასი ერთი მანეთი. (5—5)

ქ. ნინა თ. ერისთავისაგან ახლათ გახსნილს ლვინის სარდაფში იყიდება **საუკეთესო კახური ძველი ღვინოები. ს**არდაფი იმყოფება **Ц**ურინოვის აფთიაქის პირ-და-პირ, სტამბის ქვეშ, მესხიევების სახლებში. (10—9)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი				მოსკოვის ჩაის			
		1 მ.	10 კ.			1 მ.	40 კ.
—	—	1	20	—	—	1	60
—	—	1	40	—	—	1	80
—	—	1	60	—	—	2	,,
—	—	1	80	—	—	2	50
საუკეთესო		2	,,	—	—	3	,,

აქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეკოლვერები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, ჯოგზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეობკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, კიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ეხდის. (100—38)

სტამბა

ბიბლიოთეკა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, დორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და ადნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—20)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომუკანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—43)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. აქვეა აჭარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოქროვანის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. აქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რეკულები, ლაქი, კარანდაში, ბენზელი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამარეებლები, სანთელი, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა სალესი იატაკისათვის კლიორნკები. ტახტები, საკარმლები, სარკეები, საკარაბლები, ბუზმეტნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერბესები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბი, ქამრები, სარტყლები. საუკეთესო, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შოტკა, თავის. ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—84)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება **თ**ბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ **1** სექტემბრიდამ **1** ოქტომბრამდე **1883** წ.

გამომცხვარი ბური რუსეთის ფქვილისა — — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: ბირველის ხარისხისა — — 1 გ. 2½
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

ბირველის ხარისხის — 1 გ. 5 კ.
მეორისა — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2½

ჯვარის-მამის ბური:

ბირველის ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2½

ძროხის ხორცი:

ბირველის ხარისხის — 1 გ. 8 კ.
მეორის — — 1 გ. 7 კ.
სუკი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ ⁊ ბათუმიდამ მომავალი, თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 20 Сентября 1883 г. ეკ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველი შვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.